## სავედრებელი ლოცვა

ჰოი, მოწყალეო დედოფალო, შენსა მეოხებისა მიმართ მოვილტვით დღეს, ლოცვასა ჩვენსა ნუ უგულებელს-ჰყოფ, არამედ მოწყალედ ისმინე ჩვენი, შვილთა, დედათა და მემთვრალეობისა მწარისა სენითა მოწყლულთა გოდებაი და ვედრებანი დედისა ჩვენისა ქრისტეს ეკლესიისანი და აღადგინენ დაცემულნი ძმანი, დანი და ნათესავნი ჩვენნი ყოველნი.

ჰოი, მოწყალეო დედაო ღვთისაო, მიეახლე გულთა მათთა და მსწრაფლ განკურნენ იგინი წარმწყმედელისა ცთომილებისაგან და მხსნელი მოთმინებაი მიმადლენ მათ, ევედრე ძესა შენსა ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, რათა შეგვინდვნეს ჩვენ შეცოდებანი ჩვენნი და არა განაშოროს წყალობაი თვისი ერისაგან თვისისა, არამედ განგვამტკიცნეს ჩვენ სიფხიზლესა და უმანკოებასა შინა.

შეიწირენ, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, ლოცვანი და ცრემლნი დედათანი, დათხეულნი შვილთა თვისთათვის. შეიწირენ მოთქმანი ცოლთანი ქმართა ზედა თვისთა მტირალთა და ობოლთა და ღატაკთა პირმშოთა, რომელნი დაუტევეს შეცთომილთა ამათ და ჩვენიცა



ყოველთა, რომელნი შეუვრდებით ხატსა შენსა, რათა მიეახლოს სულთქმაი ჩვენი შენდა მიმართ შეწირული საყდარსა ღმრთისა მაღლისასა.

დამიფარენ და დამიცვენ ჩვენ ეშმაკისა მახეთა და ყოველთა მბრძოლთა ჩვენთაგან, შეგვეწიე საშინელსა დღესა განსვლისა ჩვენისასა, რათა მშვიდობით განვვლნეთ ზღვისა საზღვრეთა და ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.